1921 წლის 25 თებერვალი - „დღესასწაულიდან“ ოკუპაციამდე

თინა ცხოვრებაძე *

ნაშრომში განხილულია თუ როგორ იქცა 1921 წლის 25 თებერვალი საქართველოს გასაბჭოების „დღესასწაული“, საქართველოს ოკუპაციის დღედ. ამ კითხვებზე პასუხისთვის შესწავლილ იქნა გაზეთ ,,კომუნისტის“ 1988-1989 წლების ნომრები, რომლებშიც განხილულია საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები, თარიღები და თანამედროვე მდგომარეობა. კვლევისთვის გაზეთ ,,კომუნისტის“ შერჩევა განპირობებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტით. იგი წარმოადგენდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს მთავარ გაზეთს, რომელიც გამოხატავდა საბჭოთა ოფიციალურ თვალსაზრისს ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან კი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ წამოწყებული ახლებური კურსის გატარების შემდეგ (იგულისხმება ,,პერესტროიკისა“ და ,,გლასტნოსის“ პოლიტიკის წამოწყება) მას-მედია, აბსოლუტური კონტროლის ბერკეტებს ნაკლებად ექვემდებარება, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს საბჭოური წნეხი წარსულის შესახებ, უფრო ზუსტად კი, წინააღმდეგობა გამოეთქვათ საბჭოთა იდეოლოგიის მიერ დამტკიცებული ხედვისგან განსხვავებული მოსაზრებები. ამ დროისთვის იდეოლოგიური გავლენისგან თავისუფლება კიდევ უფრო ნაკლებად იგრძნობა გაზეთი ,,კომუნისტის“ ფურცლებზე, თუმცა 1988 წლიდან ჩნდება ტენდენცია, როცა ქვეყნაში ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები მცირედი განსხვავებებით საუბრობენ საბჭო-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

თა საქართველოს წარსულზე, საქართველოს გასაბჭოებასა და მის განმაპირობებელ ფაქტორებზე. ნიშანდობლივია, რომ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებამდე 1921 წლის 25 თებერვალთან დაკავშირებული ნარატივი გაზეთში წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე ინარჩუნებს საბჭოთა ოფიციალურ ვერსიას საქართველოს გასაბჭოების შესახებ. 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, რამდენიმე თვეში, იცვლება შეხედულებებიც საქართველოს უახლესი წარსულის შესახებ, რომლის შინაარსის გადააზრებასთან ერთად ხდება ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირება, რაც საბოლოოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობით სრულდება.

ამგვარად, 1988-1989 წლების ყოველდღიური გაზეთების ნომრების შესწავლით იკვეთება შემდეგი ტენდენცია - წარსულის შინაარსს განსაზღვრავს გამარჯვებული პოლიტიკური ელიტა, ისტორიის ინსტრუმენტალიზაციას მიმართავს სახვადასხვა ინტერეს ჯგუფები მასათა მობილიზაციისა და შემდეგ მათი მხარდაჭერით პოლიტიკური ძალაუფლების მისაღწევად. ფრიედმანის მტკიცებით (1992), დამახსოვრება და დავიწყება თანაარსებობს, თუკი რაიმეს ვიმახსოვრებთ, ამავდროულად ვდუმვართ და ვივიწყებთ. ამ თეორიის ნათელი მაგალითია საქართველოში პოლიტიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად მისი გასაბჭოების თარიღის 1921 წლის 25 თებერვლის მნიშვნელობის ცვლილება.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია პოლიტიკის დისკურს ანალიზი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შევისწავლოთ მსჯელობისას წარმოდგენილი არგუმენტები, პოლიტიკური და სოციალური ჯგუფების მირ წარმოებული მსჯელობა და ამგვარად ფორმირებული ნარატივები, რომლებიც კონკრეტული დროის პერიოდში სხვადასხვა შინაარსით არის საზოგადოებისთვის ცნობილი. დისკურსის მსვლელობისას ნათლად ჩანს თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ოფიციალურ მმართველ პოლიტიკურ წრეებს, სოციალურ ჯგუფებსა და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის მოქმედ ინტერეს ჯგუფებს შორის.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა საქართველოს არსებობის მანძილზე ყოველი წლის თებერვლის მიწურულს გაზეთი ,,კომუნისტი“ სადღესასწაულო ნომერს გამოსცემდა, რომელსაც წინა წლის ასეთივე სადღესასწაული ნომრისგან ძირითადად მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების აღმნიშვნელი რიცხვები განასხვავებდა. საბჭოთა საქართველოს წელთაღრიცხვის დასაბამს კი 1921 წლის 25 თებერვალი წარმოადგენდა. თუმცა, ამ ტრადიციას გაზეთის ფურცლებზე ბზარი 1988 წლის 24 აპრილს უჩნდება, როდესაც ქვეყნდება აკაკი სურგულაძის სტატია სახელწოდებით ,,ნისლი გადაიწმინდა, საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე.“ სტატიაში საუბარია ყველა იმ ძირითად თარიღზე, რომლებმაც შეცვალეს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გზა. სტატიაში იგრძნობა კომუნისტური იდეოლოგიის გავლენა. ავტორის საუბრობს 1918 წლის 26 მაისის, 1920 წლის 7 მაისის და 1921 წლის თებერვლის შესახებ. სტატიის დასაწყისში, აკაკი სურგულაძე აღნიშნავს, რომ ისტორიის შესახებ საუბარი ნისლიან ამინდში პეიზაჟის ხატვას გავს; თანამედროვე ისტორია, როგორც იდეოლოგია, სახელმწიფო პოლიტიკის სამსახურში დგას და თავისი შინაარსით პოლიტოლოგიაა (სურგულაძე, 1988). იგი აზუსტებს, რომ მეცნიერებსა და მკვლევრებს არსებული სტერეოტიპებისა და შეხედულებების საფუძველზე შეეძლოთ ისტორიული ფაქტების გაანალიზება და გადმოცემა. ისინი ვერ იქნებოდნენ მიუკერძოებულნი და თავისუფალნი ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ წერისა და მსჯელობისას (სურგულაძე, 1988).

ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, ავტორი ვერ ახერხებს პირდაპირ განაცხადოს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხოლო 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა შეიარაღებული ინტერვენციით საბჭოთა რეჟიმი დაამყარა საქართველოში. თუმცა, 1921 წლის თებერვლის მოვლენების გაშუქებისას ცდილობს გადასინჯოს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება და აღნიშნავს, რომ არანაირი “სახალხო აჯანყება” არ ყოფილა: ,,სიმართლის მხრივ გარკვეულად სცოდავს 1921 წლის თებერვლის მოვლენების ადრინდელი გაშუქებაც.

ვითარება ისეა დახატული, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში დამყარდა სახალხო აჯანყების გამარჯვების გზით და წითელმა არმიის ნაწილებმა მხოლოდ დახმარების როლი შეასრულეს. სინამდვილეში არავითარი აჯანყება არ მომხდარა და ქვეყნის შიგნითა ძალებით მისი წამოწყება იმ მომენტში შეუძლებელიც იყო. მენშევიკური მთავრობა დამხობილ იქნა წითელი არმიის მიერ, რომლის მოწვევა განხორციელდა ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის ინიციატივით. ვ.ი. ლენინი პირველ ხანებში წინააღმდეგი იყო გარეგანი ძალების ჩარევისა და ცდილობდა კიდეც საერთო ენის გამონახვას მენშევიკურ მთავრობასთან, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა მენშევიკური მთავრობის მიზეზით" (სურგულაძე, 1988).

ძირითადად იმავე ნიშნებით ხასიათდება აკაკი სურგულაძის საპასუხოდ გამოქვეყნებული სტატია ,,ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით", რომელშიც უფრო მეტად იგრძნობა საბჭოური პოზიცია, მაგრამ ასევე შეგვიძლია ისეთი ფაქტების ამოკითხვა, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა რუსეთი არც თუ ისე სამართლიანი ჩანს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობისას. აქვე ისმის საყვედური იმ ბოლშევიკების მიმართ, რომლებმაც ვერ შეძლეს 1917-18 წლებში ლენინური იდეებისა და ხედვების საფუძველზე საქართველოს გასაბჭოება. ამის მიზეზად გ. ჟვანია ასახელებს რამდენიმე გარემოებას. მეცნიერი თავდაპირველად საუბრობს ამიერკავკასიაში მენშევიკების მომხრეთა მრავალრიცხოვნობაზე: ,,ამიერკავკასიაში მენშევიკური პარტია 1917 წლის შემოდგომისთვის თავის რიგებში აერთიანებდა 60 ათასამდე წევრს, მომდევნო წლებში კი უფრო მეტს, იმ დროისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში კი მხოლოდ 9 ათასამდე წევრი ირიცხებოდა. მარტო გურიის მენშევიკურ ორგანიზაციებში უფრო მეტი წევრი იყო, ვიდრე ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში" (მუშკუდიანი, 1988).

გრიგოლ ჟვანია მეორე გარემოებად ასახელებს იდეოლოგიურ-საორგანიზაციო საკითხს. როგორც ცნობილია, XX საუკუნის დასაწყისში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ შეხედულებებსა და რწმენებს. რესპოდენტი აღიარებს, ,,მასებში მენ-

შევიკების გავლენას ისიც უწყობდა ხელს, რომ მათ ჰყავდათ ხელმძღვანელთა ძლიერი ბირთვი, რომელთა წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში ბოლშევიკების ხელმძღვანელთა ბირთვიდან ზოგიერთი აშკარა გაუგებრობას იჩენდა, ზოგი კი ამჯობინებდა მენშევიკებთან ბლოკს, მენშევიკებისა და ბოლშევიკების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებას"(მუშკუდიანი, 1988). როგორც ვხედავთ, რიცხობრივი უპირატესობასთან ერთად, იდეოლოგიური კუთხითაც უფრო მეტად დაწინაურებულნი იყვნენ მენშევიკები, რაც კიდევ ერთი ფაქტორია იმისა, რომ, ვთქვათ, ბოლშევიკები არ იყვნენ ძლიერნი და მრავალრიცხოვანნი ამიერკავკასიაში იმდენად, რომ მათ რევოლუცია მოეხდინათ და ამაში მე-11 არმიის დახმარება დასჭირვებოდათ.

რადგან საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის ძირითადი ხაზი ლენინის კულტს ეფუძნებოდა, საინტერესოა, რა პოზიცია აქვს თავად ლენინს სამხრეთ კავკასიის მიმართ, კონკრეტულად კი, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. მუშკუდიანი აცხადებს, ლენინის ძირითადი მოთხოვნა არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა ან გაუქმება იყო, არამედ - ბრძოლა იმისთვის, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლებით ყოფილიყო დამოუკიდებელი (მუშკუდიანი, 1988). 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინდა დაკარგული სახელმწიფოებრიობა, რაც დიდი ოქტომბრის რევოლუციით იყო განპირობებული, ხოლო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება მისაღები იყო პარტიის ლენინურ ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, ქართველმა ბოლშევიკებმა კი მოვლენა მენშევიკების კონტრრევოლუციად შეაფასეს და წამოიწყეს მის წინააღმდეგ კამპანია, რასაც ნ. მუშკუდიანი ბოლშევიკებს ტაქტიკურ შეცდომად უთვლის, რადგან შედეგად მუშების დიდი ნაწილი, რომლებიც მხარს უჭერდნენ ბოლშევიკებს საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბძოლაში, მენშევიკების მომხრეთა რიგებში გადავიდა (მუშკუდიანი, 1988). ამგვარად, ლენინს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით ახასიათებენ (რაც იმ პერიოდში არსებული იდეოლოგიური ზეგავლენით არის განპირობებული), მაგრამ ქვყანაში ხალ-

ხის მიერ არჩეული მთავრობის შეცვლა და იქ საკუთარი მმართველოსბის, რეჟიმის დამყარება სუვერენიტეტის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვას (ხშირად კი გაუქმებას) გულისხმობს.

გრიგოლ ჟვანიას განმარტებით, საბჭოთა რუსეთი და განსაკუთრებით კი ვ.ი. ლენინი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რათა საქართველოში არ მომხდარიყო ბოლშევიკური გადატრიალება და არსებული ხელისუფლების დამხობა. გრიგოლ ჟვანიას მოსაზრებით, საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური მთავრობის ქმედებებმა განაპირობა, იგი ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რის გამოც საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა შემოსულიყო საქართველოში და დაემყარებინა საბჭოურ-ბოლშევიკური წყობა. ამგვარი ქმედებების ნუსხა შემდეგია: 1) ,,საბჭოთა რუსეთის, ქართველი ბოლშევიკების მოქმედების საპირისპიროდ საქართველოს მენშევიკური მთავრობა, მისი მმართველი მენშევიკების პარტია სულ სხვა პოლიტიკას ატარებდა". 2) ,,მენშევიკური მთავრობა ფორმალურად ნეიტრალური რჩებოდა, საქმით კი განუწყვეტლივ, ყოველ ნაბიჯზე უტიფრად არღვევდა ნეიტრალიტეტს." 3) ,,იარაღით, სამხედრო საჭურველით, ქვანახშირით და ნავთით ამარაგებდა გენერალ ვრანგელს." 4) გააჩაღეს ანტისაბჭოთა კამპანია. 5) ,,მენშევიკურმა მთავრობამ უტიფრად დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ლეგალიზაციის საკითხშიც." 6) ,,სამჯერ დაარბიეს, პარტიის თბილისის კომიტეტის ყოველი ახალი შემადგენლობა, დააპატიმრეს სოხუმის საოლქო და ბათუმის, ფოთის, ჭიათურის, ქუთაისის საქალაქო კომიტეტების მთელი შემადგენლობა. კვლავ საპატიმროებში აღმოჩნდა 1000-ზე მეტი კომუნისტი (მუშკუდიანი, 1988)."

ყოველივე ზემოთ აღნიშნული აღქმულ იქნა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევად. 1921 წლის 20 იანვარს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჩიჩერინი ლენინს უგზავნის წერილს, სადაც საუბრობს და აღწერს ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებს, რის გამოც იგი საქართველოში საბჭოთა ხე-

ლისუფლების დამყარების საკითხს აყენებდა. ლენინმა ყოველივე ამის მიუხედავად, დადებული ხელშეკრულების პირობების დაცვა მოითხოვა. მაგრამ ვითარება განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. ,,1921 წლის დამდეგს მენშევიკური მთავრობის მცდარმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა. კიდევ უფრო გამწვავდა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. ყველაფერი ეს მთელი სიმძიმით დააწვა მშრომელ ხალხს. ამან გამოიწვია ის, რომ მშრომელები უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამდნენ მენშევიკური რეჟიმის გამო“ (მუშკუდიანი, 1988). შემდეგ გრიგოლ ჟვანია აღნიშნავს, რომ მსგავსი ვითარებით შეწუხებული მშრომელები მართავდნენ დემონსტრაციებს და აჯანყდნენ კიდეც, შექმნილი რთული ვითარების მოგვარების მიზნით კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებეული გახდა სათავეში ჩასდგომოდა აჯანყებულებს. 1921 წლის 16 თებერვალს რევოლუციური კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლებას მიმართავს თხოვნით, ,,არამარტო დიადი პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა არ დატოვებს [რევოლუციონერებს] უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას” (მუშკუდიანი, 1988). სწორედ ამ მიმართვისა და თხოვნის, დაძაბული ვითარების გათვალისწინებით, ქართველი მშრომელების ხსნის მიზნით შემოვიდა მე-11 არმია საქართველოში: ,,საბჭოთა მთავრობამ თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიიჩნია სამხედრო ძალებით დახმარებოდა საქართველოს მშრომელებს. ამ დახმარების ,,ძირითადი პოლიტიკური მოტივი” იყო, როგორც ეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, ,,აჯანყებულთა დაცვა განადგურებისგან, რომელიც ემუქრებოდა მათ მენშევიკური ჯარებისა და თეთრგვარდიელების მხრივ.” ხოლო თუ ამას აჯანყებულთა ინტერესები მოითხოვდა, მე-11 არმია უნდა დახმარებოდა მათ მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამას მოითხოვდა საქართველოს მშრომელთა ინტერესები. სწორედ ამ დახმარებამ განაპირობა ძირითადად საბჭოთა

ხელისუფლების შედარებით სწრაფად გამარჯვება” (მუშკუდიანი, 1988).

რაც შეეხება საერთაშორისო ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ მხარდაჭერას, გრიგოლ ჟვანია აზუსტებს, რომ ევროპა მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერით შემოიფარგლა და მოერიდა საქართველოს სამხედრო დახმარებას, მეცნიერი მოიშველიებს ნოე ჟორდანიას განცხადებას იმ ვითარების შესაფასებლად რაც საქართველოში იყო: ,,საქართველოს ბედი უკვე არავის არ აინტერესებს.” და აქვე ამბობს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელის შეფასება იყო მართებული და უცდომელი.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ჟვანიას მიერ 1918 წლის 26 მაისის მოვლენები შეფასებულია ოქტომრის რევოლუციის მონაპოვრად, საქართველოს გათავისუფლებლად, დამოუკიდებლობის აღდგენად, ხოლო 1921 წლის თებერვალი - მუშათა კლასის გამარჯვებად, მათ დაცვად და ,,საზეიმო“ მოვლენად.

უ.სიდამონიძე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს მთავრობის სისუსტეებზე, განსაკუთრებით კი მიწის საკითხის მოგვარებაზე. მისი თქმით, მენშევიკებმა ვერ შეძლეს გლეხების დაკმაყოფილება მიწებით, ვერ გაატარეს სათანადო რეფორმები, რაც არეულობასა და ჯანყში გადაიზარდა.

ავტორი მოკლედ გადმოგვცემს თუ როგორ არის აღწერილი 1921 წლის თებერვლის მოვლენები საქართველოს ისტორიაში. იგი რამდენიმე პროსაბჭოურ ხედვას გვაწვდის იმ მოსაზრების დაფიქსირებით, რომ ჟორდანია ამ მოვლენებს ბორჩალოში არაქართველი მოსახლეობის აჯანყებას უწოდებს. ხოლო ორჯონიკიძე სტალინს ატყობინებს რომ 1921 წლის 17 თებერვალს საქართველოს მთავრობის მიერ გატანჯული ხალხი აჯანყდა და თბილისს მიაშურა (სიდამონიძე, 1988), მაგრამ უ.სიდამონიძე აღნიშნავს, მხოლოდ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობა არ შეიძლება, რადგან ვინც 1921 წლის 15 თებერვალს ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ სტალინის წერილს იცნობს ნათელია, რა ვითარება არსებობდა საქართველოში, მაგრამ შემდეგ იგი ამ მდგომარეობის აღწერისა და დაზუსტებისგან თავს

იკავებს. ხოლო ბოლო მონაკვეთში ავტორი საუბრობს იმ მოვლენაზე, რომელიც ისტორიის ხელოვნურად შექმნას გულისხმობს, და რაც, მისი აზრით, გადასახედი და გამოსაკვლევია: ,,თავდაპირველად ადგილობრივი პარტიული წრეები ანგარიშს უწევდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მნიშვნელობას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში“ (სიდამონიძე, 1988). შემდეგ კი პოლიტიკური ნირის ცვლილების გამო, ისტორიაზე შეხედულებები გამარტივდა, მრავალვარიანტული შეხედულებები წარსულზე აიკრძალა, შეიქმნა ორი ბელადის კონცეფცია, დაიწერა ,,საკ.კ.პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი,” ბერიას წიგნი ,,ამიერკავკასიის ბოლშეევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისთვის” და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და ისტორილი აზროვნება ამ ჩარჩოებში ჩატენეს (სიდამონიძე, 1988).

1989 წლის გაზეთ ,,კომუნისტში” გამოქვეყნებული სტატიები ორგვარად შეიძლება გავყოთ: პირველი ნაწილი მოიცავს 1989 წლის პირველ 4 თვეს, აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა 1988 წელს გამოცემული ,,კომუნისტის” სტატისების მსგავსად, საბჭოთა იდეოლოგიური გავლენით არის შექმნილი, ხოლო მაისი-ივნისის თვეებიდან, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ უფრო მეტად თავისუფლდებიან მეცნიერები, კორესპონდენტები, საზოგადოების წარმომადგენლები კომუნისტური წნეხისგან და ფაქტებზე დაყრდნობით, მასალების ძიებითა და მათი კვლევით, ცდილობენ გადმოსცენ ის ისტორიული რეალობა და სიმართლე, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აყალბებდნენ და სხვადასხვაგვარ საბჭოთა სტერეოტიპებს უნერგავდნენ საზოგადეობას,

პირველი სტატია, რომელიც 1989 წლის ,,კომუნისტში” 1918-1921 წლების მოვლენებს ეხება დაიბეჭდა 24 თებერვალს სათაურით - ,,საუკუნეთა სადარი გზა”, იგი ეძღვება საქართველოს გასაბჭოების 68 წლის თავს და მოგვითხრობს იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ვითარდებოდა. რესპოდენტებად მოწვეულნი არიან, აკაკი სურგულაძე, გრიგოლ ჟვანია, იური კაჭარავა, მამია ჯიჯეიშვილი. სტატიის შესავალში კვლავ

იგრძნობა, “გულის დაწყვეტა” იმის გამო, რომ საქართველოს გასაბ-ჭოების პერიოდი სამი წლით დაგვიანდა, მაგრამ, “საბედნიეროდ”, ქართველ მშრომელებს, ქართველ ბოლშევიკებს კეთილშობილური მისიით დაეხმარა მე-11 არმია და საქართველოში დამყარდა საბჭო-თა ხელისუფლება. თუმცა, აღსანიშნავია, მეცნიერთა შეხედულების ცვლილება არგუმენტების შინაარსის ცვლილებიდან გამომდინარე. მაგალითად აკაკი სურგულაძე განამტკიცებს აზრს, რომ საქართვე-ლოში არც 1917 წელს და 1921 წელს შინაგანი ძალები არ იყო მომწი-ფებული აჯანყებისთვის (კომუნისტი, 1989). მას არგუმენტად მოჰ-ყავს ს. ორჯონიკიძის სიტყვები, რომლის თანახმადაც, საბჭოთა ძა-ლებს საქართველოში არ ჰქონდათ უმრავლესობის მხარდაჭერა, რაც შეეხება მის მიერ ლენინის მოქმედების შეფასებას, იგრძნობა, რომ ლენინი აღარ გვევლინება საქართველოსადმი კეთილგანწყობილ პირიად, არამედ მისი მთავარი საზრუნავი იყო კავკასიის ფრონტის ნაწილების მოღონიერება და შემდეგ შესაბამისი მოქმედება.

რაც შეეხება გრიგოლ ჟვანიას, იგი ისევ მიიჩნევს, რომ 1921 წლის თებერვალში არ მომხდარა საქართველოს ანექსია და მათ, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს გასაბჭოების-თვის მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია, ურჩევს გაითვალისწინოს, რომ მენშევიკების მთავარი ამოცანა იყო ,,ბრძოლა ამიერკავკასიაში ანარ-ქიისა და ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ” (კომუნისტი, 1989), ამასთან ისინი მხარდაჭერას პირდებოდნენ აშშ-ს, ინგლისს და საფ-რანგეთს, მათ გაწყვიტეს ურთიერთობა რუსეთთან, საერთო ენა გა-მონახეს ბურჟუაზიულ პარტიებთან, რომლებთან ერთადაც იბრ-ძოდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმ-დეგ. გ. ჟვანია მიიჩნევს, რომ ამ ფაქტების გათვალისწინების შემ-თხვევაში თითქმის შეუძლებელი იქნება ვისაუბროთ მე-11 არმიის შემოჭრასა და საქართველოს ოკუპაცია-ანექსიაზე. მეორე აღსანიშ-ნავი ფაქტი, რომელიც, გრიგოლ ჟვანიას აზრით, უნდა განიხილონ, გახლავთ, ის, რომ 1917-1920 წლებში მიმდინარეობდა ადგილობრივ მუშათა და გლეხთა გამოსვლები ბურჟუაზიული, ხოლო შემდეგ მენშევიკური მთავრობებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ. 1918 წლიდან სიტუაცია უფრო მეტად გართულდა და

ხდებოდა მათი მიერ შეიარაღებული გამოსვლებისა და დემონ-სტრაციების ორგანიზება, მენშევიკური მთავრობა კი ახორციელებ-და რეპრესიებს.

ი. კაჭარავა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკურ მთავრობას ბრალს სდებს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისამდე მიყვანაში, ხოლო შექმნილი მძიმე ვი-თარებიდან გამოსავალი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყა-რებაში ესახება.

გ. ჟვანიასა და ი. კაჭარავას მოსაზრებებს იზიარებს მ. ჯიჯეიშ-ვილი, რომლის შეფასებითაც საქართველოს მენშევიკური მთავრო-ბის სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტრიკურმა კურსმა ქვეყნა და-ღუპა. ამ მდგომარეობამ აღაშფოთა საბჭოთა ხელისუფლების წარ-მომადგენლები და 1921 წლის თებერვლის დასაწყისში გადაწყვი-ტეს, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოში აჯანყებული მშრო-მელებისთვის დახმარება აღმოეჩინათ. მათი არგუმენტებისა და მსჯელობის საპირისპიროდ აკაკი სურგულაძე იხსენებს ს. ორჯონი-კიძისა და ფ. მახარაძის მოსაზრებას, რომ 1921-1924 წლებში მათ სა-ქართველოში არ ქონდათ უმრავლესობის მხარდაჭერა და ,,საბჭოთა არმიის დახმარების გარეშე საბჭოთა წყობა ვერ დამყარდებოდა“ (კომუნისტი, 1989).

ისევე როგორც სხვა სტატიებში, ამ შემთხვევაშიც ჟურნალისტი რესპოდენტებს სთხოვს, შეაფასონ ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება 1921 წლის თებერვლის მოვლენების მიმართ. აკაკი სურგულაძე აც-ხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების 1921 წლის თებერვლის მოვ-ლენების მეშვეობით დამყარება არ იყო ერთადერთი და ყველაზე საუკეთესო გზა, შესაძლებელი იყო საქართველოს მთავრობის ძი-რითადი შემადგენლობის შენარჩუნება და მათთან საერთო ენის გა-მონახვა, რისი მომხრეც იყო ლენინი (კომუნისტი, 1989), მაგრამ ორ-ჯონიკიძისა და სტალინის დაჟინებული მოთხოვნით მოხდა შეიარ-აღებული, სამხედრო ინტერვენიცია და საქართველოს გასაბჭოება.

ბოლო შეკითხვა ისევ 25 თებერვლის აქტისა და განვლილი 68 წლის მანძლიზე მიღწეული წარმატებების შეფასებას ეხება. აკაკი სურგულაძის მოსაზრებით, 1918-1921 წლების საქართველოს დე-

მოკრატიულ რესპუბლიკაში მდგომარეობა კრიზისული იყო, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იმ მეთოდებით, რომლებიც გამოიყენეს არ იყო ერთადერთი და საუკეთესო საშუალება (კომუნისტი, 1989). გ. ჟავანია კი 1921 წლის თებერვლის მოვლენების იმ შემფასებლებს, რომლებმაც მას ოკუპაციას უწოდეს ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიქატორებად მოიხსენიებს.

შემდეგი სტატია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაიბეჭდა 1989 წლის 25 მაისს და ეძღვნებოდა საქართველოს მიერ 1918 წლის 26 მაისს შექმნილ სუვერენულ სახელმწიფოს. სტატიაში განხილულია ის მიზეზები და ფაქტორები, რომელთა წყალობითაც საქართველომ მოახერხა დამოუკიდებლობის მოპოვება (ჟვანია, 1989). რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობას, გრიგოლ ჟვანია აცხადებს, რომ ეს იყო დიდი ისტორიული მოვლენა, რადგან საქართველომ თავი დააღწია კოლონიურ ყოფას და შესაძლებლობა მიეცა დამოუკიდებლად ემართა თავისი ცხოვრება.

ამავე თემატიკასა და მოვლენას ეხმაურება სტატია - ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ადგილის შეფასებისათვის.” მისი ავტორია დერმიშა გოგოლაძე, რომელიც საქართველო რუსეთის ორსაუკუნოვან ურთიერთობას მოკლედ მიმოიხილავს. მეცნიერი ამტკიცებს, საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ადანაშაულებენ ანტიხალხურ და ანტისოციალისტურ ქმედებებში, არ მიაჩნია მართებულად აზრი, რომლის მიხედვითაც საქართველოში საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ჩარევა, მე-11 არმიის შემოყვანა კანონზომიერებად აღიქმება. ამის საპირისპიროდ, იგი აცხადებს, რომ სინამდვილეში 1921 წლის თებერვალში რუსეთმა დაარღვია 1920 წლის ხელშეკრულება და საერთაშორისო ნორმების დარღვევით გააუქმა მისი სახელმწიფოებრიობა (გოგოლაძე, 1989). რაც შეეხება ლენინის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, იგი, ფრთხილობდა იმიტომ, რომ საქართველოს ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის სახელმწიფოებრივი ტრადიციის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება

ჰქონდა, რის გამოც ადვილი არ იქნებოდა მისი დამორჩილება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ეს კი, დერმიშა გოგოლაძის ვარაუდის მიხედვით, ლენინს საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის მიმართ აგრესიის განხორციელებისა და რევოლუციის ექსპორტის სურვილს უნელებდა. იგი ამ მიზეზით გარკვეული დროის მანძილზე ეწინააღმდეგებოდა საქართველოში მე-11 არმიის შემოყვანას, მაგრამ სტალინისა და ორჯონიკიძის ძლიერი ზეგავლე-ნით, დათანხმდა საქართველოში სამხედრო ინტერვენციის განხორ-ციელებას.

იაკობ ფუტკარაძის სტატია ,,თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი...” ასევე საქართველოს გათავისუფლების საკითხს შე-ეხება. იაკობ ფუტკარაძე ასაბუთებს 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებელი აქტის გამოცხადების კანონიერებას, მისი აზრით, საქართველოს 1783 წელს არ გადაუცია ხელისუფლება და თავისი სუვერენიტეტი რუსეთისთვის, რომლემაც მე-19 საუკუნის დამდეგს საქართველოს გაუუქმა სახელმწიფო და იგი რუსეთის იმპერიის ნა-წილად გამოაცხადა. სწორედ ამის გამო, 1918 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება არის სამართლიანი და აღ-იქმება საუკუნის წინ დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტად. აქვე ავტორი საზოგადოებას შეახსენებს, რომ 1920 წლის 7 მაისი ხელშეკრულების მიხედვითაც, უკვე საბჭოთა რუსეთი, სა-ქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობდა და არც ამჯე-რად ჰქონდა მის შიდა საქმეებში ჩარევისა და სახელმწიფოებრიობ-ის გაუქმების უფლება.

საყურადღებოა, ასევე 10 ივნისს გაზეთ ,,კომუნისტში” გამოქ-ვეყნებული სტატია - ,,ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გა-საბჭოება, თუ...” (რესპოდენტი – ლევან თოიძე), რომელშიც განხი-ლულია ი.ბ. სტალინის, ლ.დ. ტროცკის, ფ.ე. მახარაძის წერილობი-თი ფორმით შემონახული მასალები, რომელთა მეშვეობითაც ქარ-თველი ისტორიკოსები, ცდილობენ, დაასაბუთონ, რომ თვით საბ-ჭოთა ხელისუფალნიც კი აღიარებენ - საქართველოში მოხდა სამ-ხედრო ინტერვენცია, რასაც მენშევიკური მთავრობის დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოჰყვა, რაც მთავარია, აქვე

ბოლშევიკები აღნიშნავენ, რომ საქართველოში არ იყო ნიადაგი მზად რევოლუციისთვის, რადგან მუშათა და გლეხთა უმრავლესობა მხარს უჭერდა მენშევიკურ მთავრობას და იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ეს, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი ძლიერი და კარგი მტკიცებულებაა იმისა, რომ საქართველოს გასაბჭოება მოხდა არა მუშათა და გლეხთა აჯანყებებითა და დახმარების საბჭოთა რუსეთისთვის თხოვნით, არამედ - ოკუპაცია-ანექსიით. სწორედ საბჭოთა ხელისუფალთა მიმოწერებისა და მოგონებების განხილვით, შეიძლება გავაბათილოთ საქართველოს მთავრობისთვის წამოყენებული ბრალდებები, რის გამოც საბჭოთა რუსეთი ,,იძულებული გახდა" ვითარების განსამუხტად შემოსულიყო საქართველოში, ასევე აშკარა ხდება, რომ ბოლშევიკების მიერ ყველაზე ძლიერ მიზეზად დასახელებული ფაქტორი - მშრომელთა და გლეხთა მხრიდან მათთვის დახმარების თხოვნა - ბოლშევიკებმა ხელოვნურად წარმოქმნეს და არ გამოხატავდა საქართველოს მოსახლეობის რეალურ განწყობასა და ქმედებას.

12 ივლისის სტატიაში ,,აღვადგინოთ ისტორიული ჭეშმარიტება"(საქინფორმი, 1989) 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება შეფასებულია ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენად და საუკუნოვანი, კოლონიური უღლისაგან გათავისუფლებად. 1921 წლის 25 თებერვალი კი შეფასებულია საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციად, ანექსიად თუ დაპყრობად. აქვე უარყოფილია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში მოხდა მშრომელთა და გლეხთა აჯანყება, რომელმაც განაპირობა საქართველოში მე-11 არმიის შემოჭრა და მთავრობის დამხობა.

შემდეგ ნომრებში გამოქვეყნებული სტატიებისთვის კიდევ უფრო მეტად არის დამახასიათებელი იმ ფაქტორების გამოყოფა, რომელთა მეშვეობითაც საქართველომ მოიპოვა და შემდეგ დაკარგა დამოუკიდებლობა. მსგავს საკითხთა რიგს მიეკუთვნება, მაგალითად, საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა, მისი ეკონომიკური მდგომარეობა, საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში, საქართველოში არსებული შიდა სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვითარება, ასევე - საბჭოთა

ლიდერების პოზიციები, რომლებზეც დამოკიდებული იყო სხვადასხვა ქვეყნებში რიგი მოვლენების განვითარება და, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოს ბედიც.

გელა საითიძეს საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის ფაქტად მოყავს 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ნოე ჟორდანიას გამოსვლიდან ციტატა: ,,ირკვევა ის, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხანია ჰქონდა განზრახვა, რომ საქართველოში მოეხდინა გადატრიალება და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება... მათ იშოვეს საბაბი ლორეს ოლქში. აქ მათ მოაწყვეს ჩუმი შეთქმულება, დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ, იქ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა მთავრობა და, აი, ვითომ მათ მოსახმარებლად, მოდის რუსეთის ჯარი.. სწორედ ამა თვეს გამოიცა ბრძანება აზერბაიჯანში და სომხეთში მყოფ საბჭოთა ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩვენ ჩაგვივარდა ხელთ ტყვეებისგან. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია აღება ტფილისისა და საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა"(საითიძე, 1989). მას ამ სიტყვების მტკიცებულებად მოჰყავს სტალინის წერილი ორჯონიკიძისადმი, რომელსაც სთხოვს მოსამზადებელი სამუშაოების გატარებას, რათა მოხდეს საქართველოში სამხედრო ჩარევა და მისი ოკუპაცია (საითიძე, 1989). ყოველივე ამის გათვალისწინებით, ავტორი ამტკიცებს, რომ 1921 წლის თებერვალში მოხდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა, სამხედრო ძალით კანონიერი მთავრობის დამხობა, ოკუპაცია და შემდეგ სრული ანექსია (საითიძე, 1989).

გრიგოლ ჟვანია აქვეყნებს რამდენიმე პუბლიკაციას სათაურით: ,,საერთაშორისო ნორმების დაცვით," თუ ოკუპაცია?" იგი პირველ წერილში, თითქოს ამართლებს მე-11 არმიის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას და საეჭვოს ხდის საქართველოს ოკუპაციის ფაქტს. ავტორი, წინა სტატიებში გამოთქმული აზრის მსგავსად, არც უარყოფს და არც ადასტურებს, მე-11 არმიის საქართველოში უკანონოდ შემოსვლას. მისი აზრით, ხელოვნურად მოწყობილი აჯანყებები, საქართველოს საზღვრის სხვა სახელმწიფოს ჯარების მიერ გადმოკვეთა, ჯარის ნაწილების მხრიდან შოვინისტური პოლი-

ტიკა მე-11 არმიას ქმედებებს საოკუპაციო ხასიათს სძენდა (საითიძე, 1989).

ამავე რუბრიკის მეორე წერილი ეხება ლენინის დამოკიდებულებასა და გადაწყვეტილებებს. გრიგოლ ჟვანია ახლა უკვე მიიჩნევს, რომ ლენინი რუსეთის რევოლუციის გამარჯვებად მიიჩნევდა საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ამის დასადასტურებლად კი მოყავს რამდენიმე არგუმენტი და მიზეზი. მაგალითად, ლენინი უკმაყოფილო იყო, იმ გარემოებით, რომ 1917 წლის დეკემბერში ,,რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა საქართველოს და ამიერკავკასიაში რევოლუციის გამარჯვების საქმისათვის დიდმნიშვნელოვანი ბასტიონი – თბილისის არსენალი მენშევიკებს თითქმის უბრძოლველად დაუთმო" (ჟვანია, 1989).

მეორე მოსაზრება, რომელსაც გრ. ჟვანია აფიქსირებს შემდეგია – ლენინი, მართალია, კავკასიას რუსეთის ნაწილად მიიჩნევდა, მაგრამ საბჭოთა რუსეთში წარმოშობილმა საგარეო და საშინაო პრობლემებმა განაპირობა ლენინის პოზიციის შერბილება. ამასთან, იგი ანგარიშს უწევდა ანტატის პოზიციას საქართველოს საკითხთან მიმართებაში და ვითარების გართულებისგან თავს იკავებდა.

ასევე, ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი გზებით დამყარებას ვარაუდობდა, რის გამოც არ აჩქარებდა მოვლენებს და საჭირო დროს ელოდა. პოლონეთთან და სხვა სახელმწიფოებთან დაძაბული მდგომარეობის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ მოგვარების შემდეგ, ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა საქართველოსთვისაც მიიცალეს. იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთის ქმედება კანონდარღვევად და დანაშაულად არ გამოეცხადებინა, კრემლში დაიწყეს იმ მიზეზების ხელოვნურად გამოგონება, რომლებიც შემდეგ მათ ქმედებას გაამართლებდა. ჩიჩერინს – რუსეთის მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს – დაევალა ისეთი წერილების გაგზავნა, რომელშიც აღწერილი იყო საქართველოს ,,თავხედური საქციელი", რაც ხელშეკრულების მუხლების დარღვევასა და მუშათა და გლეხთა ინტერესების უგულვებელყოფაში გამოიხატებოდა. ჩიჩერინი აღნიშნული ,,დანაშა-

ულის” შესაჩერებლად და მათ საპასუხოდ მართებულ ქმედებად ,,სამხედრო ხასიათის ჩარევას” მიიჩნევდა (ჟვანია, 1989).

გრიგოლ ჟვანია აღნიშნავს, რომ 1921 წლის თებერვლის მოვლენები თავად საბჭოთა ხელმძღვანელობას შეფასებული აქვს სამხედრო, შეიარაღებული გზით მთავრობის დამხობად და ოკუპაციად. ამის ნათელ მაგალითად მას მოჰყავს ლევან თოიძის მიერ გამოქვეყნებული სტატია - ,,ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გამარჯვება, თუ...”, რომელშიც გამოქვეყნდა სტალინის, ლენინის, ორჯონიკიძის თუ სხვა მაღალი რანგის საბჭოთა ხელმძღვანელების მიმოწერის ნაწილი.

საბოლოო შეფასებით კი, ავტორი აცხადებს, საქართველოში მე-11 არმიის შემოყვანა იყო საერთაშორისო სამართლის დარღვევა, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირობების უგულვებელყოფა, საქართველოს გასაბჭოება ძალის გამოყენებით, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს ოკუპაციას.

ი. ფუტკარაძის მიერ ,,არ უნდა დაგვრჩეს ,,თეთრი ლაქები”. საქართველოს გასაბჭოების სამართლებრივი შეფასება” სახელწოდებით გამოქვეყნებული მეორე სტატია საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით განმარტავს ყველა იმ ქმედებას, რომელიც საბჭოთა რუსეთმა განახორციელა 1921 წლის თებერვალში. მეცნიერი მიიჩნევს, რომ 1921 წლის თებერვლის მოვლენები იყო წინასწარ მომზადებული და დაგეგმილი, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებულ პირდაპირ აგრესიაში – შეიარაღებულ თავდასხმაში გამოიხატა, ამასთანავე აღნიშნულია, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია (ფუტკარაძე, 1989). სხვადასხვა არგუმენტებისა და ცნებების განმარტების შემდეგ, იაკობ ფუტკარაძე ასკვნიდა: ,,რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა პირდაპირი აგრესია შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირება სამხედრო ოკუპაციის საფუძველზე” (ფუტკარაძე, 1989).

1918-1921 წლის მოვლენების შესახებ წერს ბატონი ლევან თოიძეც, იგი ცდილობს განმარტოს თუ რა მოხდა საქართველოში 1921

წლის თებერვალს. მან 1989 წლის ნოემბრის თვეში, სათაურით - ,,მხოლოდ სიმართლე. კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, თუ...” - გამოაქვეყნა შვიდი სტატია, რომელიც მიეძღვნა ისტორიული სიმართლის დაზუსტებასა და გადმოცემას. ლევან თოიძე სტალინს, ორჯონოკიძესა და ლენინს შორის არსებული მიმოწერისა და ე.წ. სამავთულო საუბრით ადგენს, რომ სამხრეთ კავკასია რჩებოდა საბჭოთა რუსეთის ინტერესის სფეროდ, და გასაბჭოებული კავკასიის შექმნის გეგმაც არსებობდა, ხოლო ამ გეგმის განხორციელებას ფრთხილობდნენ, რადგან 1920 წლის საერთაშორისო მდგომარეობა არც თუ ისე მომგებიანი იყო საბჭოთა რუსეთისთვის. როგორც ლევან თოიძე განმარტავს, 1920 წლის გაზაფხულზე საერთაშორისო კონიუნქტურის გამო საბჭოთა რუსეთისთვის მეტად ხელსაყრელი იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება. ,,ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი მოითხოვდა, რომ საბჭოთა მთავრობას გამოეცხადებინა საერთო ამინისტია და შემრიგებლური დამოკიდებულება გამოეჩინა დამარცხებული თეთრგვარდიელი გენერლებისადმი. კერძოდ, კერზონი მოითხოვდა, შეჩერებულიყო საომარი მოქმედება ყირიმსა და კავკასიაში” (თოიძე, 1989), მეცნიერის მოსაზრებით, სწორედ ამ მიზეზების გამო დაევალა ორჯონიკიძეს მაშინ საქართველოდან წითელი არმიის ნაწილების გაყვანა.

1920 წლის ნოემბერის (სომხეთის გსაბჭოების) შემდეგ, ჯერი საქართველოზე მიდგა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიციები ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ იყო შეჯერებული. ისინი, ერთის მხრივ, საბაბს ეძებდნენ საქართველოში შემოსაჭრელად, მაგრამ, მეორეს მხრივ, არ სურდათ საქართველოს გამო ურთიერთობა გაეფუჭებინათ ინგლისთან და ჩაეშალათ სავაჭრო შეთანხმებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები. ამის გამო, საქართველოს გასაბჭოების საკითხი კვლავ გადაიდო.

1920 წლის დეკემბრიდან კი იგრძნობა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დღეები დათვლი-

ლია. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, 1920 წლის 20 დეკემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხომაზე, ვ.ი. ლენინის მიერ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ გაკეთებული განცხადების ანალიზი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს კატასტროფის წინაშე დგას და ირონიით საუბრობს ,,მენშევიკთა სამეფოზე.” იგი ასევე აზუსტებს, რომ საბჭოთა რუსეთი სიფრთიხელეს გამოიჩენს, რათა არ ჩაითრიონ ომში.

საყურადღებია, ასევე 1920 წლის 30 ნოემბერს ,,პრავდაში” გამოქვეყნებული განცხადება, რომლის ავტორიც იყო ი.ბ. სტალინი. იგი აფიქსირებს მოსაზრებას, რომ საქართველოს მძიმე წუთებში ანტანტა ისევე მიატოვებს, როგორც ეს სომხეთის შემთხვევაში მოხდა. სტალინის ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტალინმა იცის უკვე რა მძიმე წუთებიც მოელის საქართველოს, და ერთგვარად აფრთხილებს, მას, რომ მარტო დარჩენილ საქართველოს არავის იმედი აღარ უნდა ქონდეს.

მესამე წერილში ლევან თოიძე საბჭოთა რუსეთის მიერ ომის წამოწყების მიზეზებს განიხილავს. მისი აზრით, არც საქართველოს გართულებული ეკონომიკური მდგომარეობა, არც ვითომცდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის ბრალდება, რუსეთს არ ამართლებს საქართველოში მე-11 არმიის შემოყვანის საქმეში. საბჭოთა რუსეთის კიდევ ერთი არგუმენტი, რომლის გამოც ისინი საქართველოში შემოსვლას აუცილებლად მიიჩნევდნენ შემდეგი იყო - რუსეთი ვარაუდობდა, რომ საქართველო ანტანტისათვის შეიძლებოდა გამხდარიყო პლაცდარმი რუსეთთან ომის წარმოებისას, მაგრამ ლევან თოიძე განმარტავს, რომ რუსეთსაც კარგად ესმოდა, რომ მისი ამგვარი ეჭვი უსაფუძვლო იყო, რადგანაც ანტანტა იძულებული გახდა ,,შერიგებოდა” აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოებას, ის არც საქართველოსათვის გამოიდებდა თავს, თანაც სტალინის მიერ გაკეთებულ განცხადებაშიც ხომ კარგად ჩანს საბჭოთა რუსეთის მოლოდინი, რომ ანტანტა საქართველოს გასაბჭოებაში ისევე მიატოვებდა, როგორც სომხეთს?!

ლევან თოიძე ინტერესდება, თუ კი საბჭოთა რუსეთის მიერ გამოთქმული ყველა ვარაუდი და საქართველოს გასაბჭოების ყველა მიზეზი უსაფუძვლო იყო, მაშინ რამ განაპირობა საბჭოთა რუსეთის შემოსვლა საქართველოში, რა იყო ამის რეალური მიზეზი?! ამ კითხვას მეცნიერი თავადვე პასუხობს. მისი აზრით, საქართველოს გასაბჭოების ბედი კავკასიაში არსებულმა ბუნებრივმა რესურსებმა განსაზღვრა და არა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა-დაურღვევლობამ. არც იმაზე ნაღვლობდნენ როგორ გრძნობდნენ თავს საქართველოს მშრომელები. საბჭოთა რუსეთს საქართველო თავისი გლობალური ინტერესების განხორციელების საქმეში ჭირდებოდა. მიზეზად კი საბჭოთა რუსეთის მთავარ „მრწამსსა" და რევოლუციური ინტერნაციონალური მოვალეობის აღსრულებას აცხადებდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს გასაბჭოება უნდა მომხდარიყო ან მშრომელთა მიერ, ან წითელი არმიის მეშვეობით. იმის გამო, რომ მშრომელთა გამოსვლები და პროტესტი არც თუ მასშტაბური და მნიშვნელოვანი იყო, საქართველოში მე-11 არმიის შემოყვანა აუცილებელი გახდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობის გეგმაში შედიოდა ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის გასაბჭოება, ისინი მხოლოდ საჭირო დროსა და საერთაშორისო ვითარების მათ სასარგებლოდ შეცვლას ელოდნენ, რათა სისრულეში მოეყვანათ თავიანთი ყველა მიზანი. ამგვარად, ლევან თოიძე 1921 წლის თებერვლის მოვლენებს საქართველოს ოკუპაციად მიიჩნევს. ამ მოსაზრების კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად იგი სტალინის, ტროცკის თუ მახარაძის შეფასებებს მოიშველიებს. ისინი საქართველოში მიმდინარე პროცესებს სამხედრო ინტერვენციას (ტროცკი), ოკუპაციას (სტალინი) და დაპყრობას (ორჯონიკიძე) უწოდებენ. საბჭოთა ლიდერების მიმოწერიდან ასევე ირკვევა ის ფაქტიც, რომ საქართველოში არ მომხდარა მშრომელთა აჯანყება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მე-11 არმიის ძალით განხორციელდა.

თუ წინა პერიოდის ნომრებში საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლის მიზეზად საქართველოს მთავრობის უკანონო ქმედებები,

ხალხთა ჩაგვრა და ეკონომიკური კრიზისია დასახელებული, 1989 წლის მაისიდან საბჭოთა ლიდერების მიმოწერისა და სხვადასხვა დოკუმენტების განხილვით, ირკვევა, რომ რუსეთის მმართველი წრის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს გასაბჭოება და საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარება. მათი ურთიერთმიმოწერებიდან კარგად ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთი ემზადებოდა საქართველოში სამხედრო ინტერვენიისა და ოკუპაციისთვის, ხოლო 1921 წლის თებერვლიდან ეს განზღახვა მან სისრულეში მოიყვანა და 25 თებერვალს მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ინტერვენციით გასაბჭოება.

ამგვარად, ნაშრომში გამოთქმული დებულება მმართველი პოლიტიკური წრეების მიერ ისტორიის ინსტრუმენტალიზაციის შესახებ მტკიცდება. ფაქტია, საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა თითქმის სამოცდაათი წლის მანძილზე საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მოსახელობის ნების გამოხატულებად და ამ ნების აღსრულების სადღესასწაულო თარიღად აცხადებდა. საბჭოთა ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და მისი შენარჩუნების მიზნით, შეიცვალა 1918-21 წლების პოლიტიკური ვითარების ანალიზისა და შეფასების შინაარსი. მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში კი, როდესაც საქართველოში ძლიერდება ეროვნული მოძრაობა და მოქმედებას იწყებს ალტერნატიული ძალა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შეცვლისთვის, კვლავ ჩნდება საბჭოთა კავშირში რეჟიმის მიერ დამკვიდრებული სწორხაზოვანი, უალტერნატივო ნარატივის კრიტიკისა და აზროვნების შესაძლებლობა, რომელიც მყარდება სხვადასხვა ფაქტის, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის მეზობელ სახელმწიფოებში არსებული საშინაო პოლიტიკის, ოფიციალური დოკუმენტის, იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებით და მიზეზ-შედეგოვრივი კავშირის გამოკვეთით. ნათელი ხდება, საბჭოთა რუსეთის განზრახვა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიმართ, რომელიც ამავე სახელმწიფოს მე-11 არმიის მიერ სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებული გახდა, შეეცვალა მისი პოლიტიკური მომავალი და ეცხოვრა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ყოველდღიური გაზეთები:

1. (1989. თებერვალი 47.). საუკუნეთა სადარი გზა. *კომუნისტი.*
2. გოგოლაძე, დ. (1989. მაისი 120.). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ადგილის შეფასებისთვის. *კომუნისტი.*
3. თოიძე, ლ. (1989. ნოემბერი 252.). მხოლოდ სიმართლე, კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, თუ.... *კომუნისტი.*
4. თოიძე, ლ. (1989. ნოემბერი 260.). მხოლოდ სიმართლე, კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება თუ.... *კომუნისტი.*
5. თოიძე, ლ. (1989.ნოემბერი 258.). მხოლოდ სიმართლე, კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, თუ....*კომუნისტი.*
6. მუშკუდიანი, ნ. (1988. მაისი 113.); ფრაზის ავტორია გრიგოლ ჟვანია. ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით; *კომუნისტი.*
7. ჟვანია, გ. (1989. აგვისტო 184). ,,საერთაშორისო ნორმების დაცვით",თუ ოკუპაცია? წერილი პირველი. *კომუნისტი.*
8. ჟვანია, გ. (1989. აგვისტო 185.). ,,საერთაშორისო ნორმების დაცვით",თუ ოკუპაცია?" წრილი მეორე. *კომუნისტი.*
9. ჟვანია, გ. (1989. მაისი 120.). ღირსსახსოვარი მოვლენა. *კომუნისტი.*
10. საითიძე, გ.(1989. აგვისტო 176.). სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი. *კომუნისტი.*
11. საქინფორმი. (1989. ივლისი 151.). აღვადგინოთ ისტორიული ჭეშმარიტება. *კომუნისტი.*
12. სიდამონიძე, უ. (1988, მაისი 120.). ოქტომბრის პირმშო – გარდაქმნით დაბრუნებული. 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა. *კომუნისტი.*

13. სურგულაძე, ა. (1988. აპრილი 96.). ნისლი გადაიწმინდა საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე. *კომუნისტი.*
14. ფუტკარაძე, ი. (1989. აგვისტო 195.). არ უნდა დაგვრჩეს ,,თეთრი ლაქები" საქართველოს გასაბჭოების სამართლებრივი შეფასება. *კომუნისტი.*
15. ფუტკარაძე, ი. (1989. აგვისტო 196.). არ უნდა დაგვრჩეს ,,თეთრი ლაქები" საქართველოს გასაბჭოების სამართლებრივი შეფასება. *კომუნისტი.*
16. ფუტკარაძე, ი. (1989. ივნისი 129.). თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი. *კომუნისტი.*
17. შარაძე, გ. (1989. აგვისტო 182.). როგორ დაიდო ხელშეკრულება. მასალები საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ისტორიისთვი, წერილი მეოთხე. *კომუნისტი.*
18. შარაძე, გ. (1989. სექტემბერი 210.). გამმაფრებული საკითხი და იურიდიული უფლებამოსილება. მასალები საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშკრულების ისტორიისთვის. *კომუნისტი.*
19. შარაძე, გ. (1989. ივლისი 169.). ნამდვილი და ყალბი ისტორია. მასალები საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ისტორიისთვის. წერილი მეორე. *კომუნისტი.*
20. Friedman, J. (1992). The Past in the Future: History and the Politics of Identity. *American Anthropologist.*

Tina Tskhovrebadze

The 25th of February, 1921 from the celebration to the occupation

The paper discusses how the interpretation about the past political experice of Georgia had changed through the various periods of times in the twentieth century. The research consentrates on Georgia's Sovietization date the 25th of Fabruary, 1921 and explores how the meaning of the date was constructed by the Soviet government (in the

early twevnties of the twentieth century) and how the forgotten narrative about the day was rediscovered by the Georgian Natonal Movement, political elites and scholars in history. There were no any alternative narratives about Georgia's political development in the Soviet discourse of events. No one was allowed to question the established vision about the Sovietization of Georgia, but after the declared policies of Perestroika and Glasnost the National Movement in Georgia started to question legacy of the Soviet governemt, alternative narratives of Goergia's Sovietization were discussed by the scholars. Based on facts and documents research it turned out the 25th of February, 1921 was not the day to be remembered and celebrated in a positive context for Georgia, but it became the date of occupation of the Democratic Republic of Georgia (1918-1921 years).

Keywords: Restoration of the Georgian independence, Georgia, the Soviet Union, Occupation of Georgia.